

ენა და ენათმეცნიერება

ექსპრესივები<sup>1</sup> გელათური გულანის (K-596) ნუსხურ  
ანდერძ-მინაწერებში

ფიქრია ჭაბუკიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი  
pikria.chabukiani@atsu.edu.ge

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული გელათური გულანი გადაწერილია 1541 წელს. იგი პირველი თარიღიანი გულანია ამ ტიპის ხელნაწერთა შორის. გულანში დასტურდება 150-ზე მეტი ნუსხური და მხედრული ანდერძ-მინაწერი. მათი შესწავლა საინტერესო მასალას იძლევა როგორც ენობრივი, ისე ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ასპექტით. ანდერძ-მინაწერების საშუალებით ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და დანიშნულების ცნობებმა. მინაწერებში ჩანს, როგორი იყო მაშინდელი საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა, ყოველდღიური საზრუნავი და ყოფითი პრობლემები. ამას გარდა, მინაწერები წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ ადამიანებზე – მათ ფიქრებსა და განცდებზე. გულანის ნუსხურ ანდერძ-მინაწერებში უხვად არის გადამწერთა ფსიქოემოციური მდგომარეობის გამომხატველი ექსპრესივები. ჩვენი კვლევის საგანია ექსპრესივების განხილვა ფსიქოლინგვისტური ასპექტით, კერძოდ, იმის ჩვენება, რამდენად იცვლება გადამწერის ფსიქოემოციური განწყობის ცვლასთან ერთად ექსპრესივების გრამატიკული სტრუქტურა, ანუ რა ენობრივი საშუალებებია ამისთვის გამოყენებული გელათური გულანის ანდერძ-მინაწერებში.

**საკვანძო სიტყვები:** ხელნაწერები, გულანი, კალიგრაფები, ექსპრესივები, ანდერძ-მინაწერები.

განუზომელია უძველესი ქართული ხელნაწერების მნიშვნელობა. მათში ერთდროულად იყრის თავს სულიერი და მატერიალური კულტურის ნიმუშები. ხელნაწერთა კვლევის სხვადასხვა ასპექტი გვაწვდის მრავალფეროვან ინფორმაციას, რომელიც ფასეულია სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის. ხელნაწერთა კვლევის ერთ-ერთი ასპექტია გადამწერთა, კალიგრაფთა, წიგნის შემდგენელთა ანდერძ-მინაწერები,

<sup>1</sup> **ექსპრესივები** გადმოგვცემს მეტყველი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას საგნებისა და სიტუაციების მიმართ, საკუთარ დამოკიდებულებას მანამდე განხორციელებული ქმედების მიმართ ან ფსიქოლოგიურ მდგომარეობას – სიხარულს, მწუხარებას, სიამოვნებას, ტკივილს და ა.შ. (ეს გამოიხატება მაღლობის, მაღლიერების, ჩივილის, ბოდიშის, სინანულის, მილოცვის, პატიების, თხოვნის, მისალმების, დაფიცების გამომხატველი აქტების სახით). ისინი გამოხატავენ მოსაუბრის რეაქციას მოვლენებზე (ქენქაძე 2014: <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/76>).

## ფ. ქაბუკიანი

---

რომლებიც, თავის მხრივ, მრავალფეროვან სურათს ქმნის თანადროული ეპოქის შესახებ.

ანდერძ-მინაწერების საშუალებით ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და დანიშნულების ცნობებმა ხელნაწერის გადამწერის, მომგებლის, ავტორის ვინაობის, გადაწერის ადგილის, დროის, ხელნაწერის წყაროების, გადაწერის მიზნის... შესახებ. მინაწერებში ჩანს, ასევე, რა მძიმე და შრომატევად საქმიანობას ეწეოდნენ გადამწერები, რა პირობებში უწევდათ მუშაობა, რა მასალას იყენებდნენ, როგორი იყო მაშინდელი საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა, ყოველდღიური საზრუნავი და ყოფითი პრობლემები. ამას გარდა, მინაწერები წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ ადამიანებზე – მათ ფიქრებსა და განცდებზე, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. მაგალითად: „აქა ცოტა ფიქრი შემექმნა და გული შემებნა“; „ხელი საბრალო მწერლისა მიწათა შინა ლპებისა, ხოლო ნაწერი მისი ჰგიეს ჟამთა ვიდრე უკუნისამდე, ამინ“; „ვაი წელო, ვაი ზურგო, ვაი ნამუშავეო და ნაჭირნახულევო, ვინ გაგშინჯავს და ვინ შეიტყუებს შენს საქმესა“; „ვაიმე... რა ვქნა! დღესა ხუთშაბათსა ხორციელისასა კურდღლის ხორცითა გავძებ და ღვინოცა ვსვი, და სამი მუხლი დამრჩა. ნუ გიზრახავთ უგუნურებით და ნუცა დამწყევ“; „აქა სახანჯას ღვინო გამოეგზავნა დავითრიეთ და მისთვის შემცილდა უფალო ჩემო“; „აქა ჩემმა ვაჟმა თავი გაიტეხა“; „ვაი მომემშია...“ „დიდი ჭირისა და მწუხარების დღე მქონდა: ძნელი ზამთარი იყო, ერთს ბნელს სახლში ვიჯექი, სიკუდილისაგან შეღონებული, დღე და ღამე მტირალი. უწყის ღმერთმან, სულ-ღამით უსკამოთ, კალთაზედ და მუხლზე ფიცარი მედვა და სანთლით დავსწერე. ოღონ სიმართლეს ვცდილობდი და ხელის სიკეთეს არ ვეძებდი, იმგვარი დღე მქონდა. დედანი ღიად აშლილი ძველი იყო, ძველებური ნაწერი იყო და ძნელი საკითხავი. ბევრი ასო ახლანდელს ასოს არა გუანდა. და დედნის სიძველემ ბევრიგად გამსარჯა. და დიდი ჭირი ვნახე ავი ზამთრისაგან, თუ რამ უცბად ნაჩხრეკი ნახოთ, ნუ მწყევთ ღმრთისათვის, მუხლზედ ნაწერი არის“... (გეგია 2010).

ანდერძ-მინაწერთა მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური, ყოფითი და სხვა ხასიათის თემები.

საყურადღებო ისტორიული ცნობების შემცველ ანდერძ-მინაწერებს საქართველოს ისტორიისთვის წყაროს მნიშვნელობაც ენიჭება. თ. ჯოჯუა ანდერძ-მინაწერებს შინაარსობრივი თვალსაზრისით ყოფს მემორიალური, იურიდიული და სხვა ხასიათის ძეგლებად. მისი აზრით, „ანდერძ-მინაწერებს, უმრავლეს შემთხვევაში, ახასიათებთ სამი ძირითადი ნიშანი:

1. რაიმე სახის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იმ ხელნაწერთან, რომლის აშიაზეც შესრულებულია ესა თუ ის კოლოფონი; 2. ტექსტის ლაკონიური ხასიათი და ამით გამოწვეული ინფორმაციული შეზღუდულობა; და 3. ავთენტურობა ანუ კოლოფონის შესრულების დროითი სიახლოვე ტექსტში გადმოცემულ ამბებთან. ჩამოთვლილი მახასიათებელი ნიშნების გამო ანდერძ-მინაწერები, მართალია, მოკლე, მაგრამ სანდო და მრავალფეროვან ცნობებს გვაწვდიან საქართველოს საერო თუ საეკლესიო ისტორიის შესახებ“ (ჯოჯუა 2012: 3).

ანდერძ-მინაწერები მრავლად დასტურდება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ ხელნაწერში, გელათურ გულანში (K-596). იგი პირველი თარიღიანი გულანია ამ ტიპის ხელნაწერთა შორის, გადაწერილია 1541 წელს.

გელათური გულანი (K-596) შედგება 687 ქაღალდის ფურცლისაგან (ფურცლის ზომებია: 41 X 27), ხელნაწერს ხის ყდა აქვს, ყდა შემოსილი ყოფილა ტყავით. ხელნაწერი შესრულებულია ნუსხურით, სათაურები და საზედაო ასოები – ასომთავრულით, შიგადაშიგ გაფორმებულია საწინაო ასოები. ძირითადი ტექსტი ნაწერია შავი ფერის მელნით, სათაურები სინგურით. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად და თითო გვერდზე (იგულისხმება სვეტი) 47 სტრიქონია. ამჟამად ხელნაწერი ნაკლული და დაზიანებულია, ტექსტის ნაწილი დაკარგულია. ხელნაწერს ჰყავს ორი გადამწერი: ჯერასიმე ლეჩია და ისაკ ციმცაძე (81v, 173v, 425v, 565r, 644v, 687v); გულანის გადაწერა დაუკვეთავს აფხაზეთის კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძეს (687v).

ხელნაწერში წარმოდგენილია პარაკლიტონი (1r – 173v) და მთელი წლის თვენი სექტემბრიდან აგვისტომდე (175r – 637v). შობის საგალობელთა შორის მოთავსებულია აკროსტიხული იამბიკო (363v – 364r) (ნიკოლეიშვილი, ნიკოლაძე 1964: 226).

გელათურ გულანში დასტურდება 150-ზე მეტი ნუსხური და მხედრული ანდერძ-მინაწერი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თემატიკით, შინაარსით, დაწერილობით, საწერი საშუალებით, ემოციური განწყობით... ანდერძ-მინაწერთა შესწავლა საინტერესო მასალას იძლევა როგორც ენობრივი, ისე ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ასპექტით. მინაწერებიდან ჩანს არა მარტო გულანის შექმნის ისტორია, გადამწერთა მუშაობის პროცესი, მათი დამოკიდებულება გადასაწერი მასალისა და გარესამყაროსადმი, ემოციები და განცდები, სულიერი მდგომარეობა, არამედ იმერეთის სამთავროს მცირე ისტორიული მონაკვეთიც.

გელათური გულანის ანდერძ-მინაწერები თემატიკის მიხედვით ძირითადად შეიძლება დავყოთ ასე: **ა.** ისტორიულ მოვლენათა ამსახველი, **ბ.** საკითხავების მიმანიშნებელი, **გ.** მომხმარებელთა

## ფ. ჭაბუკიანი

/ მკითხველთა მინაწერები, დ. ლოცვა-თხოვნითი ხასიათისა, ე. ფსიქოემოციური მდგომარეობის ამსახველი, ვ. გადასაწერი მასალისადმი დამოკიდებულების გამომხატველი.

საინტერესო სურათს ქმნის ნუსხური ანდერძ-მინაწერები, კერძოდ, ისეთი მინაწერები, რომლებშიც ნათლად ჩანს გადამწერთა ფსიქოემოციური მდგომარეობა და რომლებიც, საერთო ჯამში, რეალიზდებიან ექსპრესივებად. **ექსპრესივები**, როგორც უკვე აღინიშნა, ასახავს მეტყველი პირის დამოკიდებულებას საგნებისა და სიტუაციების მიმართ, ასევე, საკუთარ დამოკიდებულებას მანამდე განხორციელებული ქმედების მიმართ ან ფსიქოლოგიურ მდგომარეობას – სიხარულს, მწუხარებას, სიამოვნებას, ტკივილს და ა. შ. ექსპრესივები ფსიქოლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება. ფსიქოლინგვისტიკის ძირითადი ამოცანაა ენის შესწავლა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს იმ მენტალურ პროცესს, რომელიც თან ახლავს ზეპირი თუ წერილობითი ენის გამოყენებას. „მეტყველებისას ან ტექსტის დაწერისას, ადამიანს მრავალი განსხვავებული გრძნობა, შეფასება, ასოციაცია უჩნდება, რომელთა მხოლოდ ნაწილის გამოხატვა ხერხდება რეალურ სიტუაციაში, მეორე მხრივ, მოსმენისას თუ კითხვისას, ჩვენ, როგორც წესი, გვესმის უფრო მეტი, ვიდრე ეს ტექსტში არის უშუალოდ, ექსპლიციტურად ნათქვამი თუ დაწერილი. ფსიქოლინგვისტიკას აინტერესებს, თუ რა ფსიქოლოგიური მექანიზმები მონაწილეობს ენობრივი ფენომენების გაგება-გააზრების პროცესის დროს“ (მინდაძე 2020: 4, 5).

ფსიქოლინგვისტიკის კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ინდივიდებს შორის შეტყობინებათა ურთიერთგაცვლის ანუ კომუნიკაციის საკითხი. კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გაცვლა ხდება სხვადასხვაგვარად: ზეპირად, წერილობით, ჟესტ-მიმიკის გამოყენებით. წერილობითი კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა ანდერძ-მინაწერები, რომელთა მეშვეობითაც კალიგრაფები, გადამწერები ამყარებენ კომუნიკაციას სხვადასხვა ეპოქის მკითხველთან.

გელათური გულანის ნუსხურ ანდერძ-მინაწერებში უხვად არის გადამწერთა ფსიქოემოციური მდგომარეობის გამომხატველი ექსპრესივები. გადამწერები წერის პროცესში ითხოვენ შენდობას, პატიებასა და ლოცვით მოხსენიებას, ცდილობენ გამოხატონ საკუთარი განწყობილება, ემოცია, როგორ დადებითი (სიხარული, მაღლიერება, ლოცვა-თხოვნა, სურვილი (ნდომა)...), ისე უარყოფითი (სევდა-მოწყენილობა, მწუხარება, გაბრაზება...). საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მასალას საანალიზო ხელნაწერიდან:

**სიხარული** – ერთი თევზი დავიჭირეთ დიდებდ ღმერთსა და ყოვლად წმიდა ღვთისმშობელსა (483r)...

**მადლიერება** – აქა მათე სამჯარი მაჭამა ღმერთმან აცხვოს (550r)...

**ლოცვა-თხოვნა** – ღამე იყო და ავი დარი ნაწერისა სურჩხისათვის შემინდევით უფალნო ჩემნო : აჰა· (164v). სრულ იქმნეს რვანი ჳმანი პარაკლიტონნი მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვ/უთის მშობელისათად : ბრძანებითა ქრისტეს მიერ კურთხეულისა აფხაზეთისა კათალიკოზ პატრიარქისა ევდემონისითა : ყოვლად წმიდაო დედუფალო ღვ/უთის მშობელო მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა დღესა მას დიდსა განკითხვასა რაჟამს დაჯდეს განსჯად ადამიანთა : (173v); ღამე იყო უფალო ჩემნო შემინდევით (337r); წმიდანო ღვთისაღნო ნუ ვინ დამწყევთ ჳელისა სიუდოისათვის და კ~დ = [კუალად] ტჯბიკონი და სამიებელი უშნოდ თურამე მოვიდოდეს არა ერთი წიგნისგან გარდავსწერეესე... (389r); უფალო ღმერთო კეთილჳყვ წერა ესე ჩემი : რათა ვწერო და გა(...) (429r); მოქვისა ღვთისმშობელო შეიწყლე სული : ფრიად ცოდვილისა ჳერასიმესი დღესა მას დიდსა განკითხვასა : ძისა შენისა მადლსა ამინ : (540v); ამისა უცებად მჩხრეკელსა ყოველთა ადამისტომთა ცოდვითა აღმატებულსა ისაკს ციმცაძესა შეუნდნენ ღმერთმან : ვინცა ბრძანოთ თქუ/ვენცა შეგინდნეს ღმერთმან : (644v). ამისა უცებად მჩხრეკელსა ისაკს შეუმდნეს ღმერთმან : დედა მამათა მისთა შეუნდნეს ღმერთმან · ვინცა შენდოით მოგჯჳსენოთ · მოგიჳსნოს თქვენცა ღმერთმან სოფელსა მისსა : (425r)...

**სურვილი (ნდომა)** – ვად რად მწაედ სხუა დედა (430r)...

**სეცდა-მოწყენილობა** – ნუ ვის გიკვრნ რამეთუ მოწყენილი ვარ (612r); მოწყენილი ვარ იცოდით (302v); **ვად** რად ვქმნა მომეწ(ყინა) (493r); თქუ/ვენსა მადლსა ჳელისა სიუდოსათვის ნუ ვინ დამწყევთ ღამე იყო და მერმე მოწყენლმცა ვიყავ (316r)...

**მწუხარება** – (148r); მელნისა სითხემან და ქალაღდისა სიავემან გამსაჯა საწყალობელი (145v); **ვაი** · ჩემს · ყურსა · რად გავიგონე ცაიშელმან რძალი შეირთოლ ... : **ვად** ჩემსა აქ~ა მოს[ლ/ა]ვასა · ჳე თუმც (490r).

ზოგიერთი მინაწერი, სემანტიკიდან გამომდინარე, იმავდროულად არის რამდენიმე ემოციური მდგომარეობის გამომხატველი. მაგალითად, ერთდროულად ჩანს მოცემულ ეპიზოდებში:

**წუხილი და თხოვნა:** ღუ/ვთისა თქუ/ვნისა მადლსა ნუვინ დამწყევთ თუ სიტყუ/ვად უშუწრად რამე მოვიდოდეს საწყალსა შენსა დედა ავი მქონდა ჩემი არა არს ბრალი : (387r); აქა დედასა არცა (კ~ხლრსი) და არცა ძლისპირი არა ეწერა მე რამცა მექმნა არა უწყოდი წმიდანო ღ~(ღ)ნო ნუ დამწყევთ : (433r)...

**წუხილი და გაბრაზება** – აქა სასინგურესა კალამსა წუწრი მომიღეწეს კრულმცა... (257r), **ვად** შენ ავო დარო : (169r); **ვამე** უბადრუკსა რად ავს დედას გარდვეკიდე (387v); უბადრუკი ტარასი იყო · და წუწთი დაეცა უფალნო ჩემნო : (494v); უბადრუკო ავდარო წყეულო (520v); აქა ეკლესიასა

## ფ. ქაბუკიანი

შიგან ესე რვეული შევიწახე და წყეულმან თავუმან ძირი მომჭამა ვამძე რად ვყო უფალნო ჩემნო არა უწყი (148r)...

ზოგჯერ მინაწერის ექსპრესიულობის, ემოციური ელფერის აღქმა მკითხველისათვის სუბიექტურია და ამან შეიძლება გაურკვევლობაც კი შექმნას. მაგალითად, **ვამძე** რად ავი ქალაღდი არის : (566v). აქ წუხილი ჩანს, შეიძლება გაბრაზებაც დაინახოს ვინმემ, ან – ორივე ემოციური განწყობა ერთად. მაშასადამე, ექსპრესივების ფსიქოემოციური განწყობის აღქმა სუბიექტურია.

საინტერესოა ექსპრესივების შემცველი მასალის ფსიქოლინგვისტური ასპექტით განხილვა. ჩვენი კვლევის საგანია, რამდენად იცვლება გადამწერის ფსიქოემოციური განწყობის ცვლასთან ერთად ექსპრესივების ენობრივი (გრამატიკული) სტრუქტურა, ანუ რა ენობრივი საშუალებებია ამისთვის გამოყენებული გელათური გულანის ანდერმ-მინაწერებში.

ცნობილია, რომ სიტყვის მნიშვნელობის წვდომა-გაგებისთვის კონტექსტია განმსაზღვრელი, ხოლო კონტექსტის საფუძველი განწყობაა. მასალის ანალიზით შეიძლება განისაზღვროს, იცვლება თუ არა ტექსტის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური პარამეტრები იმის მიხედვით, დადებითია თუ უარყოფითი ექსპრესივებში გადმოცემული ფსიქოემოციური განწყობა. როგორც ცნობილია, საგნის ან მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისას წინადადებები უფრო მოკლე და მარტივია, ხოლო დადებითი დამოკიდებულებისას – უფრო გრძელი და რთული (ვახანია 2020).

გელათურ გულანში მოცემულ მასალაში გამოხატული სხვადასხვა ემოციის (დადებითისა თუ უარყოფითისა) გამომწვევი მიზეზები არის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ხასიათისა, რაც გადმოცემულია წერილობით, დროისა და სივრცის შეუზღუდავად. ძალიან საინტერესოა, რომ გადამწერები შორეული ეპოქიდან, XVI საუკუნიდან, გვაწვდიან ხმას წერთი კომუნიკაციის საშუალებით. რადგან ტექსტი ჩვენ მხოლოდ ნაწერი სახით გვაქვს, ვერ ვაფიქსირებთ გადამწერის ვერბალურ და არავერბალურ მახასიათებლებს (ეს შეიძლება იყოს ჟესტი, მიმიკა, პაუზა, ინტონაცია...) შესაბამისი განწყობის დროს. ამის დანახვა ჩვენ შეგვიძლია მინაწერის შინაარსითა და იმ ენობრივი საშუალებებით, რასაც იყენებენ გადამწერები. ამაში მათ ეხმარებათ ისეთი ენობრივი საშუალებები, როგორცაა **შორისდებულები**, ასევე, შესაბამისი განწყობის **სიტყვები** თუ **ენობრივი ფორმულები**. უმეტეს შემთხვევაში ექსპრესივს ქმნის **წინადადება, კონტექსტი** (თუ ემოცია არ არის, არც ექსპრესივია)...

საერთოდ, გრძნობა-ემოციისა და განწყობის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა **შორისდებული**. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი შორისდებული განსხვავებული სემანტიკის

მქონეა, იგი ერთდროულად ერთიანდება სხვადასხვა შინაარსობრივ ჯგუფში და, შესაბამისად, ექსპრესივს უცვლის შინაარსს. მაგალითად:

საანალიზო მასალაში რამდენჯერმე დადასტურდა მწუხარების გამომხატველი შორისდებული **ვაიმე: ვაიმე** რად ავი ქალაღი არის : (566v); **ვაიმე** რად ვყო უფალნო ჩემნო არა უწყი (148r)...

შორისდებული **ვაიმე** ზოგჯერ გამოხატავს **გაბრაზებას: ვაიმე** უბადრუკსა რად ავს დედას გარდვეკიდე (387v); აქა ეკლესიასა შიგან ესე რვეული შევინახე და წყეულმან თაგუმან ძირი მოშჳამა **ვაიმე** რად ვყო უფალნო ჩემნო არა უწყი (148r). კონკრეტული ემოციის მაჩვენებელია მინაწერის შინაარსი და ის სიტყვები, რომლებიც შეიძლება გაბრაზებულმა ადამიანმა გამოიყენოს, მაგალითად, **უბადრუკსა<sup>1</sup>, წყეული...**

შორისდებული **ვაი** დასტურდება, ასევე, რამდენიმე სემანტიკით. კერძოდ, იგი გამოხატავს:

**მწუხარებას: ვაი** • ჩემსად ყურსა • რად გავიგონე ცაიშელმან რძალი შეირთოლ : **ვაი** ჩემსა აქა მოსავასა • ჰე თუმც (490r);

**გაბრაზებას: ვაი** შენ ავო დარო : - 169r);

**სურვილს: ვაი** რად მწაედ სხუა დედად (430r). მოხმობილ მაგალითებში შორისდებულებთან ერთად ექსპრესივებს ქმნის კონტექსტი.

მაღლიერებასა და ლოცვა-თხოვნით განწყობას უმეტესად გამოხატავს ლოცვა-თხოვნითი ფორმულები: **ღმერთმან აცხოვნოს: აქა მათე სამჯარი მაჳამა ღმერთმან აცხოვნოს** (550r); **ღვთისმშობელო შეიწყალე ფრიად ცოდვილი... ვინცა ბრძანოთ თქვენცა შეგინდნეს, ამინ: მოქვისა ღთუვის მშობელო შეიწყალე სული** : ფფრიად ცოდვილისა ჯერასიმესი დღესა მას დიდსა განკითხვასა : ძისა შენისა მაღლსა ამინ : (540v); ამისა უცებად მჩხრეკელსა ყოველთა ადამისტომთა ცოდვითა აღმატებულსა ისაკს ციმცაძესა შეუნდნენ ღმერთმან : ვინცა ბრძანოთ თქუვენცა შეგინდნეს ღმერთმან : (644v)...

ზოგჯერ თხოვნა პირდაპირ არის გადმოცემული კონკრეტული სიტყვით: **ღამე იყო უფალო ჩემნო შემინდევით** (337r)...

ზოგჯერ გადამწერი თავის განწყობას გადმოსცემს **წინადადებით, კონტექსტით**, რომელსაც არანაირი ემოციური ელფერი არ ახლავს: **ნუ ვის გიკვრნ რ მოწყენილი ვარ** (612r); **მოწყენილი ვარ იცოდით** (302v); ...**ესე ერთი კარი არა ნებით დამიგდია • არამედ დიდს ხანსა უბატონოდ ვიყავ და ისრე ვსწერდი • და ერთი კაცი არა მყუა თვთო პური ვისმე მოერთმვინა • მჯავრმან და საგონებელმან შემაცდინა : ამისმეტი მე ჯინი შენთან დაწერილი წიგნი არვის ასმია • უფალნო ჩემნო** : (613v). ეს უკანასკნელი ამბავს მოგვითხრობს და თან ასახელებს ემოციურ განწყობას კონკრეტული სიტყვით, იმავდროულად გადმოსცემს გამომწვევ მიზეზსაც. უმეტეს

<sup>1</sup> **უბადრუკება** – წვალება, გარჯა; **უბადრუკა** – უბედური; **უბადრუკება** – უბედურება, წვალება (სარჯველაძე 1995: 198).


## ფ. ჭაბუკიანი

შემთხვევაში კი ემოციურ განწყობას უშუალოდ ანდერძ-მინაწერის შინაარსიდან ვგებულობთ. ავტორი ყოველგვარი ემოციური ელფერის, კონკრეტული ემოციის გამომხატველი სიტყვის გარეშე, თხრობითი სახით გადმოგვცემს თავის განწყობასა და სულიერ მდგომარეობას.

საინტერესოა ერთი შემთხვევა, 302v-ზე შესრულებულ მინაწერში (**მოწყენილი ვარ იცოდით** – 302v) სიტყვა **მოწყენილს** გასმული აქვს წითელი ხაზი. ვფიქრობთ, აქ გადამწერი მეტი სიმკვეთრისათვის უსვამს ხაზს სიტყვა **მოწყენილს**, თითქოს მას არ ჰყოფნის სიტყვიერი გამოხატვა და ხაზგასმით ცდილობს, რეალობის გადმოსაცემად მეტი ელფერი შესძინოს მას.

ხელნაწერში დასტურდება შემთხვევა, როცა გადამწერი თავის ემოციას, სიხარულს აფიქსირებს მინაწერით 483r-ზე: „ერთი თევზი დავიჭირეთ დიდებდა ღმერთსა და ყოვ/ულად წმიდა ღვ/უთისმშობელსა“, ხოლო სიხარულის მიზეზს გამოსახავს საზედაო ასომი 482v-ზე (იხ. **სურათი 1**).

ხელნაწერის გადაწერის სამუშაო რთული და ხანგრძლივი პროცესია, რაზეც მოქმედებს განწყობა და ემოცია, რომლის გამომწვევია უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი. ეს ემოცია შეიძლება აისახოს არა მარტო მინაწერში, არამედ საზედაო ასომი, გაფორმებაში, მინიატურაში.




სურათი 1.

მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი დაკვეთით იქმნება და მას ჰყავს კონკრეტული პატრონი / მფლობელი, გადამწერები არ ერიდებიან თავიანთი ყოფითი პრობლემების, ემოციური განწყობის... დაფიქსირებას.

გადამწერები თითქოს შეტყობინების სახით გვიტოვებენ ამ ყველაფერს. საინტერესოა, რატომ მიაწერდნენ კალიგრაფები თავიანთ ემოციებსა და განწყობებს ხელნაწერებზე, რომლებიც ლიტურგიკული ხასიათისა იყო, ამავე დროს, დაკვეთით იქმნებოდა და სხვისთვის იყო განკუთვნილი. საფიქრებელია, რომ გადამწერები კარგად აცნობიერებდნენ თავიანთი პროფესიის დიდ მნიშვნელობასა და სირთულეს. ამიტომ მათ სურდათ, თავიანთი ემოციები და განცდები დაეტოვებინათ ხელნაწერის ფურცლებზე და საუკუნეებისათვის გადაეწვდინათ „არავერბალური ხმა“.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მინაწერები, ყოველთვის, ტექსტის შრიფტთან შედარებით მცირე ზომისაა და თითქოს მიმალულია ამიების ბოლოებზე ან შემოპყვება რამდენიმე ამიას კუთხური ფორმით (იხ. **სურათი 2**). მინაწერთა ტექსტი იკითხება ძირითადი ტექსტის ასიმეტრიულად.



**სურათი 2.**

ამრიგად, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, გელათური გულანის ანდერძ-მინაწერებში ექსპრესივები ძირითადად გადმოცემულია:

- შორისდებულების დახმარებით
- ემოციის მიმანიშნებელი სიტყვებით
- შორისდებულითა და ემოციის მიმანიშნებელი სიტყვებით ერთდროულად
- ენობრივი ფორმულებით
- გადამწერი თავად ასახელებს საკუთარ ემოციურ მდგომარეობას

## ფ. ჭაბუკიანი

➤ სიტყვიერ მასალაზე დართული პიქტოგრაფიული ნიშნებით

გელათური გულანის (K-596) ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს გადამწერთა ინტენცია<sup>1</sup> ანუ განზრახვა და მისწრაფება, რომ: **ა.** მკითხველს მიაწოდონ ინფორმაცია გადაწერის პროცესში მომხდარ ფაქტებზე; **ბ.** საუკუნეებს გადააწვდინონ საკუთარი ხმა, მდგომარეობა და ფსიქოემოციური განწყობა, რასაც ისინი წერითი კომუნიკაციის საშუალებით ნამდვილად ძალიან კარგად ართმევენ თავს.

## ლიტერატურა

გელათური გულანი (K-596).

გეგია, თ. 2010. ინტერვიუ – ესაუბრა ნ. საბაშვილი, მელანს მოადინე და სიბრწყინვალე მოეც და რასაც ვაწერინებდე, ღირს მყავ აღსრულებად, რეზონანსი, N11. განთავსებულია 18.07.2010. მოძიებულია 11.06.2016. მის.: [http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=6&id\\_artc=2983](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=6&id_artc=2983)

დათეშიძე, ლ. შენგელია, ა. 2009. ქართული სამედიცინო ინტერნეტ-ქსელი, სამედიცინო ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი. განთავსებულია 22.12.2009. მოძიებულია 09.12.2017. მის.: <https://www.medgeo.net/2009/12/22/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/>

ვახანია, ზ. 2020. ფსიქოლინგვისტიკა საქართველოში, განახლებულია 21.09.2020. მოძიებულია 03.10. 2020. მის.: [http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90\\_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98](http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98)

მინდაძე, ი. 2020. ფსიქოლინგვისტიკა. განთავსებულია 2020. მოძიებულია 02.12.2020. მის.:

<https://iwaminda.files.wordpress.com/2020/11/e183a4e183a1e18398e183a5e1839de1839ae18398e1839ce18392e18395e18398e183a1e183a2e18398e18399e18390-e1839be18394e1839de183a0e18394-e18392e18390e1839-be1839de183aae18394e1839be18390-psycholin.pdf>

1 ინტენცია (ლათ. **intentio** განზრახვა, მისწრაფება) – რაიმე ობიექტზე ადამიანის ფსიქიკური აქტივობის კონკრეტული მისწრაფება, მიმართულება (ლ. დათეშიძე, ა. შენგელია).

ნიკოლაძე, ე., ნიკოლეიშვილი, მ. (შემდგენელი და რედაქტორი). 1964. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II., თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

სარჯველაძე, ზ. 1995. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქენჭაძე, ი. 2014. „ირონია მეტყველების აქტების თვალთახედვით“, ჟურნალი „სპეკალი“. განთავსებულია 2014. მოძიებულია 08.12.2017. მის.:  
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/76>

ჯოჯუა, თ. 2012. XII საუკუნის ქართული ხელნაწერი კრებული (Ven. 4) და მისი ანდერძ-მინაწერები (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). დისერტაცია. თბილისი.

## Language and Linguistics

### Expressions in Nuskhuri Will-inscriptions of Gelatian Liturgical Book (Gulan) (K-596)

**Pikria Chabukiani**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi  
pikria.chabukiani@atsu.edu.ge

*Gelatian Gulan preserved in Kutaisi State Historical Museum, is copied in 1541. It is the first dated Gulan among this type of manuscripts. More than 150 Nuskhuri and Mkhedruli will-inscriptions are confirmed in Gulan. Their study provides interesting material from both linguistic and historical-source study aspects. With the help of will-inscriptions, the information of various nature, content and destination has reached us. The inscriptions show the economic situation, daily worries and everyday problems of the society at that time. In addition, the inscriptions give us an idea of the people of that time - their thoughts and feelings. Gulan's will-inscriptions are rich in expressions expressing the psycho-emotional state of the copyists. The subject of our research is the discussion of expressions from a psycholinguistic aspect. How much the grammatical structure of the expressions changes with the change in the psycho-emotional mood of the copyist, i.e. what linguistic means are used for this in the will-inscriptions of the Gelatian Gulan.*

**Keywords:** manuscripts, Gulan, calligraphers, expressions, will-inscriptions.

The significance of the ancient Georgian manuscripts is immeasurable. Samples of spiritual and material culture are reflected in them at the same time. Different aspects of manuscript research provide a variety of information that is valuable to researchers in a variety of fields. One aspect of the study of manuscripts is the

## ფ. წაბუკიანი

---

will-inscriptions of copyists, calligraphers, which in turn, create a diverse picture of the contemporary era.

Through wills and inscriptions we have received information about the nature, content and purpose of the manuscript copyist, the identity of the author, the place of copying, the time, the sources of the manuscript, the purpose of the copying... The inscriptions also show how hard and laborious the copyists were, what conditions they had to work in, what materials they used, what was the economic situation of the society at that time, daily worries and everyday problems. In addition, the inscriptions give us an idea of the people of that time - their thoughts and feelings.

The Gelatian Gulan (K-596) preserved in the Kutaisi State Historical Museum is the first dated Gulan among this type of manuscripts, it was copied in 1541. More than 150 Nuskhuri and Mkhedruli (modern lay) wills are confirmed in Gelatian Gulan. They differ from each other in subject matter, content, writing, writing means, emotional mood... The study of will-inscriptions provides interesting material from both linguistic and historical-source aspects. The inscriptions show not only the history of Gulan's creation, the process of the copyists' work, their attitude towards the copied material and the outside world, emotions and feelings, their spiritual condition, but also a small historical section of the Imereti principality.

An interesting picture is created by Nuskhuri will-inscriptions, in particular, the inscriptions which clearly show the psycho-emotional state of the copyists and which, in general, are realized as expressions. Expressions belong to the field of psycholinguistics. The main task of psycholinguistics is the study of language from a psychological point of view, which involves the mental process that accompanies the use of oral or written language. Psycholinguistics is interested in what psychological mechanisms are involved in the process of understanding linguistic phenomena" (Mindadze, 2020: 4, 5).

The Nuskhuri will-inscriptions of Gelatian Gulan are rich in expressions, expressing the psycho-emotional state of the copyists. In the writing process, the copywriters ask for forgiveness, pardoning and prayers, try to express their mood, emotion, both positive (joy, gratitude, prayer-request, desire (wish) ...) and negative (melancholy-boredom, sadness, anger ...). To illustrate, we present the material from the analytical manuscript:

**Joy** – ერთი თევზი დავიჭირეთ დიდება ღმერთსა და ყოვლად წმიდა ღვთისმშობელსა *erti tevzi davichiret dideba ghmertsa da qovlad tsmida ghtismshobelsa* (We caught one fish, glory to the God and the All-Holy Mother of God) (483r)...

**Gratitude** – აქა მათე სამჰარი მაჭამა ღმერთმან აცხოვნოს aka mate samkhari machama ghmertman atskhvnos (*Here Mate fed me three times, may God revive him*) (550r)...

**Prayer-request** – ღამე იყო და ავი დარი ნაწერისა სურჩხისათვის შემინდევიო უფალნო ჩემნო ∴ აჰა. ghame iqo da avi dari natserisa siurchkhisatvis shemindevit ufalno chemno (*It was nights and bad weather for the writing, forgive me, my lord ∴ Behold.*) (164v)...

**Desire (wish)** – ვაი რაი მწაედ სხუა დედაი vai rai mtsaed sxua deda (*Woe, how I desire another mother*) (430r)...

**Melancholy-boredom** – ვაი რაი ვემნა მომეწ(ყინა) vai rai vqmna mometsqina (**Woe, what can I do, I am bored**) (493r)...

**Sadness** – (148r); მელნისა სითხემან და ქალაღდისა სიავემან გამსაჯა საწყალობელი melnisa sitkheman da qaghaldisa siaveman gamsaja satsqalobeli (*Ink liquid and paper powder judged the pardon*) (145v)...

**Anger** – ვაი შენ ავი დარო ∴ vai shen avo daro (**Woe you bad weather ∴**) (169r)...

Sometimes the perception of the expressiveness of the note, the emotional tone is subjective for the reader and this can even create uncertainty. For example, ვაიმე რაი ავი ქალაღდი არის ∴ vaime rai avi kaghaldi aris (**Woe, what a malicious paper ∴**) (566v). Anxiety can be seen here, one can even see rage, or - both emotional moods together. Therefore, the perception of the psycho-emotional mood of the expressives is subjective.

It is interesting to discuss the material containing expressions from the psycholinguistic aspect. The subject of our research is to what extent the linguistic (grammatical) structure of the expressions changes with the change in the psycho-emotional mood of the transcriber, ie what linguistic means are used for this in the will- inscriptions of Gelatian Gulan.

The causes of the various emotions (positive or negative) expressed in the materials given in Gelatian Gulan are both subjective and objective, conveyed in writing, without limitation of time and space. Because we only have the text in writing, we cannot fix the verbal and non-verbal characteristics of the copyist (it can be gesture, facial expressions, pause, intonation...) in the appropriate mood. We can see this by the content of the transcript and the linguistic means used by the copyists. **Interjections**, as well as appropriate mood **words** or **linguistic formulas**, help them in this. In most cases, expressiveness is created by **a sentence, a context** (if there is no emotion, it is not expressive either)...

In general, **interjection** is one of the most productive means of expressing feelings and emotions. Due to the fact that some interjections have different semantics, they simultaneously unite in different content groups and,

## ფ. ჭაბუკიანი

consequently, change the expressive content. For example: the analysis material several times confirmed that the grief-stricken interjection is **Woe: ვაიმე** რაჲ ავი ქალღალდი არის :· vaime rai avi kaghaldi aris (**Woe**, what a malicious paper :·) (566v); **ვაიმე** რაჲ ვყო უფალნო ჩემნო არა უწყი vaime rai vqo ufalno chemno ara utsqi (**Woe**, what can I do, my lord) (148r)...

The interjection **Woe** sometimes expresses **anger: ვამე** უბადრუკსა რაჲ ავს დედას გარდვეკიდე vaime ubadruksa rai avs dedas gardvekide (**Woe**, what a wretched mother I have come across) (387r); აქა ეკლესიასა შიგან ესე რვეული შევინახე და წყეულმან თავუმან ძირი მოშჳამა **ვაიმე** რაჲ ვყო უფალნო ჩემნო არა უწყი aka eklesiassa shigan ese rveuli shevinaxe da tsqeuroman taguman dziri moshchama vaime rai vqo ufalno chemno ara utsqi (*Here I kept this notebook inside the church and the cursed mouse ate the woe I do not know what to do, my lord*) (148r). An indicator of a specific emotion is the content of the note and the words that an angry person might use, e.g. **wretched, accursed...**

The interjection **Woe** is also confirmed by several semantics. In particular, it expresses:

**Grief: ვაი** · ჩემსად ყურსა · რაჲ გავიგონე ცაიშელმან რძალი შეირთო :· **ვაი** ჩემსა აქა მოსავასა · ჰე თუმცე vai chemsa qursa rai gavigone tsaishelman rdzali sheirto, vai chemsa aka mosavasa eh, tumts (**Woe** · to my ear · what I have heard, the Tsaishian has brought a bride :· **Woe** to my come here · Hey though) (490r);

**Anger : ვაი** შენ ავო დარო :· vai shen avo daro (**Woe** you bad weather :·) (169r);

**Desire: ვაი** რაჲ მწაედ სხუა დედაჲ vai rai mtsaed skhua dedai (**Woe**, how I desire another mother) (430r). In the cited examples expressions create contexts with interjections.

The prayer-request formulas are mostly expressed in gratitude and prayer-request mood: **May God revive him:** აქა მათე სამჳარი მაჳამა ღმერთმან აცხოვნოს aka mate samkhari machama ghmertman atskhvnos (*Here Mate fed me three times, may God revive him*) (550r); **Mother of God, have mercy on many sinners... Whoever commands you to know, Amen:** მოქვისა ღთუ/ვის მშობელო შეიწყალე სული :· ფრიად ცოდვილისა ჯერასიმესი დღესა მას დიდსა განკითხვასა :· ძისა შენისა მადლსა ამინ :· mokvisa ghvtismshobelo sheitsqale sulī pried tsodvilisa jerasimesi dghesa mas didsa gankitkhvisasa dzisa shenisa madlsa amin (*Whose parent spared the soul :· On the day of the great judgment of the sinner Gerasime :·Son of Your Grace Amen :·*) (540v); ამისა უცებად მხხრეკელსა ყოველთა ადამისტომთა ცოდვითა აღმატებულსა ისაკს ციმცაძესა შეუნდნენ ღმერთმან :· ვინცა ბრძანოთ თქუ/ვენცა

შეგინდნეს ღმერთმან ∴ *amisa utsebad mchkhrekelsa qovelta adamistomta tsodvita aghmatebulsa isaks tsimtsadzesa sheundnen ghmertman, vinca brdzanot tkventsa shegindnes ghmertman* (Suddenly, God blessed Isaac Tsimtsadze, the supreme sinner of all human beings ∴ Whoever commands you / God knows you ∴) (644v)...

One case is very interesting, which deals with the inscription 302v (*მოწყენილი ვარ იგოდოთ motsqenili var itsodit* (**You know, I am sad**) – 302v) where the word **sad** has a red line underlined. We think the copyist here emphasizes the word sad for more sharpness, as if he has no verbal expression, and tries to give it more shade to convey reality.

The manuscript confirms the case when the copyist recorded his emotion, joy with the inscription on 483r: „ერთი თევზი დავიჭირეთ დიდებდა ღმერთსა და ყოვლად წმიდა ღვთისმშობელსა erti tevzi davichiret dideba ghmertsa da qovlad tsmida ghvtismshobelsa (We caught one fish of the glorious God and the Holy Mother of God)“, And the cause of joy is depicted in the uppercase letter at 482v. Therefore, emotion can be reflected not only in the inscription, but also in the uppercase letter, decoration, miniature.

Although the manuscript is created to order and it has a specific patron / owner, the copyists do not shy away from fixing their everyday problems, emotional mood... Copyists seem to be leaving us with all of this in the form of messages. It is interesting why the calligraphers attributed their emotions and moods to the manuscripts, which were of a liturgical nature, at the same time, created to order and intended for someone else. It is conceivable that the copyists were well aware of the great importance and complexity of their profession. So they wanted to leave their emotions and feelings on the pages of the manuscript and to transmit the "non-verbal voice" for centuries.

It should be noted that such inscriptions are always smaller than the text font and seem to be hidden at the ends of the edgings or followed by a few edges in angular form and the text of the inscriptions is read asymmetrically to the main text.

Thus, as the analysis of the material showed, the expressions in the will-inscriptions of Gelatian Gulan are mainly conveyed:

- with the help of interjections
- in words referring to emotion
- interjections and emotion words at the same time
- by linguistic formulas
- the copyist himself names his own emotional state
- with pictographic signs attached to the verbal material

## ფ. კვანციანი

---

The will-inscriptions of the Gelatian Gulan (K-596) show the intention or aspiration of the copyists: **a.** to provide the reader with information on the facts that occurred during the copying process; **b.** to convey their own voice, condition, and psychoemotional mood to centuries, which they really do very well through written communication.